



www.silknet.com

მის: თბილისი, წინამძღვრიშვილის 95; ტელ: 2 100 100, ელ.ფოსტა: info@silknet.com

აქციის დანართი N---

ქ. _____ 2017 წელი

აბონენტი (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საკონტაქტო ნომერი, ელ. ფოსტა):

ადასტურებს, რომ ეთანხმება ქვემოთმოცემულ „აქციის“ პირობებს:

· „აქციის“ დასახელება: "ერთით ზედა პაკეტი თბილისის აბონენტებისთვის"

· აქციის პირობები:

1. წინამდებარე აქციის ფარგლებში (შემდგომში "აქცია"), "სილქნეტის" ოპტიკური (GPON, P2P) ტექნოლოგიის ინტერნეტ და სატელევიზიო მომსახურების, ასევე, DSL ტექნოლოგიის სატელევიზიო მომსახურების აბონენტები / მომსახურებების მიღების მსურველი პირები, მათ სარგებლობაში არსებული/ მისაღები სატელევიზიო და ინტერნეტ მომსახურების სააბონენტო პაკეტების ღირებულების ფარგლებში, ისარგებლებენ ერთით ზედა პაკეტით. აქციის მოქმედების ვადის დასრულების შემდეგ (დასრულებისთანავე), აბონენტებს ავტომატურად გააუქტიურდებათ აქციის ფარგლებში გააქტიურებულ პაკეტზე ერთით ქვედა პაკეტი. აქციის პირობები ვრცელდება თბილისის აბონენტებზე.
2. აქცია ვრცელდება შემდეგ მომსახურებებზე / მომსახურებების კომბინაცი(ებ)ის მიმღებ აბონენტებზე / ფიზიკურ პირებზე:
 - 2.1. ფიზიკური პირები, რომლებიც დარეგისტრირდებიან ოპტიკურ ორმაგ შეთავაზებაზე (ინტერნეტი და სილქ ტვ ერთად) ან მომსახურებების ნებისმიერ კომბინაციაზე, რომელიც მოიცავს ინტერნეტ და სილქ ტვ მომსახურებას, მათ შორის სამმაგ/ოთხმაგ შეთავაზებაზე.
 - 2.2. ფიზიკური პირები, რომლებიც დარეგისტრირდებიან DSL ინტერნეტ და DSL სილქ ტვ მომსახურებაზე ერთდროულად, ან მომსახურებების ნებისმიერ კომბინაციაზე, რომელიც მოიცავს ინტერნეტ და სილქ ტვ მომსახურებას, მათ შორის სამმაგ/ოთხმაგ შეთავაზებაზე ან DSL ინტერნეტ და DSL სილქ ტვ მომსახურებების დამატებით ერთვეტიან სამმაგ/ოთხმაგ შეთავაზებაში;
 - 2.3. ოპტიკური ინტერნეტ (ან ოპტიკური ინტერნეტი და სილქფონი ერთად, მათ შორის ს1 სამმაგი შეთავაზების) მომსახურების მიმღები აბონენტები, რომლებიც იმატებენ სილქ ტვ მომსახურებას ან მომსახურებებს, რომელიც მოიცავს სილქ ტვ-ს და აღნიშნული მომსახურებები რეგისტრირდება ერთ სააბონენტო ანგარიშზე, მათ შორის სამმაგ/ოთხმაგ შეთავაზებაზე.
 - 2.4. DSL ინტერნეტ მომსახურების (მათ შორის ს1 სამმაგი შეთავაზების) მიმღები აბონენტები, რომლებიც იმატებენ სილქ ტვ მომსახურებას, ასევე თუ სილქ ტვ მომსახურების დამატებით ჩაერთვებიან სამმაგ/ოთხმაგ შეთავაზებაში.
 - 2.5. ოპტიკური სილქ ტვ (ან სილქ ტვ და სილქფონი ერთად) მომსახურების მიმღები აბონენტები, რომლებიც იმატებენ ოპტიკურ ინტერნეტ მომსახურებას ან მომსახურებებს (რომელიც მოიცავს ოპტიკურ ინტერნეტს) და აღნიშნული მომსახურებები რეგისტრირდება ერთ სააბონენტო ანგარიშზე, მათ შორის სამმაგ/ოთხმაგ შეთავაზებაზე.
 - 2.6. აქციის პირობები ვრცელდება 2.1. - 2.5. პუნქტებით განსაზღვრული მომსახურებების კომბინაციების/შეთავაზებების მიმღებ აბონენტებზეც.
3. აქციაზე რეგისტრაციის პერიოდი განისაზღვრება აქციის ძალაში შევლიდან - 2018 წლის 5 იანვრის ჩათვლით.
4. აქციის პირობებით ინსტალაციის პერიოდი განისაზღვრება აქციის ძალაში შევლიდან - 2018 წლის 5 მარტის ჩათვლით.
5. აქციის მოქმედების ვადა განისაზღვრება აბონენტისთვის აქციის გააქტიურებიდან 6 (ექვსი) თვის ვადით.



www.silknet.com

მის: თბილისი, წინამძღვრიშვილის 95; ტელ: 2 100 100, ელ.ფოსტა: info@silknet.com

6. მე-2 პუნქტით განსაზღვრული მომსახურებების კომბინაციების/შეთავაზების მიმღებ აბონენტებს, ასევე, იმ პირებს რომლებიც მე-2 პუნქტით განსაზღვრული მომსახურებების კომბინაციებზე/შეთავაზებებზე დარეგისტრირდებიან აქციის ამოქმედების თარიღამდე (მაგრამ არ მომხდარა ინსტალაცია), აქცია გაუაქტიურდებათ ავტომატურად, შემდეგი პირობებით:

6.1. აბონენტები, აქციის ფარგლებში, აქციის ამოქმედების თარიღისთვის გააქტიურებული/რეგისტრირებული ინტერნეტ და სილქ ტვ მომსახურებ(ებ)ის სააბონენტო პაკეტების ღირებულების ფარგლებში მიიღებენ ერთით ზედა პაკეტს;

6.2. აბონენტები, აქციის ფარგლებში, აქციის ამოქმედების თარიღისთვის გააქტიურებული/რეგისტრირებული სამმაგი/ოთხმაგი შეთავაზების სააბონენტო პაკეტის ღირებულების ფარგლებში მიიღებენ სამმაგი/ოთხმაგი შეთავაზების ერთით ზედა პაკეტს;

6.3. "დრიმ" პაკეტის აბონენტებს აქციის ფარგლებში გაუაქტიურდებათ "ფორმულა 1" პაკეტი;

6.4. მომსახურებების მიმღებ აბონენტებს, რომელთაც აქციის ავტომატურად გააქტიურების მომენტში, გააქტიურებული ექნებათ შემდეგი მომსახურების პაკეტები: "ფორმულა 1", "დელუქსი", "დელუქს HD", ან DSL/ოპტიკური სამმაგი/ოთხმაგი შეთავაზების მე-2, DSL სამმაგი/ოთხმაგი შეთავაზების მე-3 და ოპტიკური სამმაგი/ოთხმაგი შეთავაზების მე-4 პაკეტები, ავტომატურად არ გაუაქტიურდებათ აქციის პირობები; ამასთან, არ არის შეზღუდული აქციაში ჩართვა აბონენტის მოთხოვნის (განაცხადის) დაფიქსირების საფუძველზე.

6.5. მომსახურებების მიმღებ აბონენტებს, რომელთაც აქციის ავტომატურად გააქტიურების მომენტში, გააქტიურებული ექნებათ დსლ სამმაგი/ოთხმაგი შეთავაზების პირველი პაკეტი, გაუაქტიურდებათ დსლ სამმაგი შეთავაზების მეორე პაკეტი და "კინო" და "პლიუსი" თემატური პაკეტები სამმაგი შეთავაზების მეორე პაკეტის ფარგლებში. იმ შემთხვევაში თუ მომსახურებების მიმღებ აბონენტს სტანდარტული პირობებით უკვე გააქტიურებული აქვს თემატური პაკეტები "კინო" და "პლიუსი", აღნიშნული თემატურ პაკეტებს მიიღებს აქციის ფარგლებში, ხოლო თუ სტანდარტული პირობებით გააქტიურებული აქვს ზემოაღნიშნული თემატური პაკეტებიდან ერთ-ერთი, გაუაქტიურდება მეორე თემატური პაკეტიც და აღნიშნული თემატურ პაკეტებს მიიღებს აქციის ფარგლებში. ოპტიკური სამმაგი/ოთხმაგი შეთავაზების ისეთ აბონენტებს, რომლებსაც აქციის ფარგლებში ავტომატურად გაუაქტიურდებათ ოპტიკური სამმაგი/ოთხმაგი შეთავაზების მეორე ძირითადი პაკეტი და 1. არ აქვთ გააქტიურებული სამმაგი შეთავაზების პაკეტი 2-ის ფარგლებში გათვალისწინებული არც ერთი თემატური პაკეტი, მათ ავტომატურად გაუაქტიურდებათ თემატური პაკეტები: "კინო" და "პლიუსი"; 2. თუ გააქტიურებული აქვთ 1 (ერთი) თემატური პაკეტი - "კინო" ან "პლიუსი", გაუაქტიურდებათ მეორე თემატური პაკეტი (შესაბამისად, ან "კინო" ან "პლიუსი") 3. ხოლო თუ გააქტიურებული აქვთ სამმაგი შეთავაზების პაკეტი 2-ის ფარგლებში გათვალისწინებული 1 (ერთი) თემატური, რომელიც არც "კინო" და არც "პლიუსი", გაუაქტიურდებათ თემატური პაკეტი "კინო". აღნიშნულ თემატურ პაკეტებს აბონენტები მიიღებენ წინამდებარე აქციის პირობით.

7. მე-2 პუნქტით განსაზღვრული მომსახურებების კომბინაციების (რომლებიც მოიცავს ოპტიკურ ინტერნეტ ან სილქ ტვ მომსახურებას) ან სამმაგი/ოთხმაგი შეთავაზების აბონენტები, რომლებიც აქციაზე დარეგისტრირდებიან აქციაზე რეგისტრაციის პერიოდში, გააქტიურებული ინტერნეტ / სილქ ტვ მომსახურების / სამმაგი/ოთხმაგი შეთავაზებების პაკეტს მიიღებენ ერთით ქვედა პაკეტის ფასად.

8. აქციის გააქტიურება შეზღუდულია ოპტიკური ინტერნეტ მომსახურების "სტარტ" პაკეტზე, სილქ ტვ მომსახურების პაკეტზე "სტანდარტი", ასევე ოპტიკური და DSL სამმაგი/ოთხმაგი შეთავაზების პირველ პაკეტზე. აქციის პირობა არ ვრცელდება DSL სამმაგი შეთავაზების პირველ პაკეტზე.

9. იმ შემთხვევაში, თუ აბონენტს, მის სარგებლობაში არსებულ ინტერნეტ და სილქ ტვ მომსახურებებიდან, აქციასთან თავსებადი სააბონენტო პაკეტები გააქტიურებული აქვს ორივე მომსახურებაზე, აქციის პირობები გაუაქტიურდება ორივე მომსახურებაზე, ხოლო თუ ამ ორი მომსახურებიდან მხოლოდ ერთ-ერთზე - აქციის პირობები გაუაქტიურდება მხოლოდ ერთ (აქციასთან თავსებადი სააბონენტო პაკეტის მქონე) მომსახურებაზე.

10. აქციის ამოქმედების პერიოდის დასრულების შემთხვევაში, აბონენტები ისარგებლებენ შემდეგი პირობებით:

10.1. ინტერნეტ და სილქ ტვ მომსახურების აბონენტებს გაუაქტიურდებათ აქციის ფარგლებში გააქტიურებული მომსახურების პაკეტებზე ერთით ქვედა პაკეტი და დაერიცხებათ აღნიშნული პაკეტ(ებ)ის სტანდარტული ღირებულება;

10.2. სამმაგი/ოთხმაგი შეთავაზების აბონენტებს გაუაქტიურდებათ სამმაგი/ოთხმაგი შეთავაზების ერთით ქვედა პაკეტი და დაერიცხებათ აღნიშნული პაკეტის სტანდარტული ღირებულება, ხოლო თემატური პაკეტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შეუნარჩუნდებათ და



www.silknet.com

მის: თბილისი, წინამძღვრიშვილის 95; ტელ: 2 100 100, ელ.ფოსტა: info@silknet.com

დაერიცხებათ მათი სტანდარტული ღირებულება (გარდა 6.5 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა). იმ აბონენტებს, რომლებსაც აქცია გაუაქტიურდათ 6.5 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში, აქციის მოქმედების ვადის ამოწურვისას გაუუქმდებათ ავტომატურად გააქტიურებული თემატური პაკეტები;

10.3. "დრიმ" პაკეტის აბონენტებს (რომლებსაც აქციის ფარგლებში გაუქტიურდათ "ფორმულა 1"), გაუაქტიურდებათ "დრიმ" პაკეტი მაქსიმალური სიჩქარით და დაერიცხებათ აღნიშნული პაკეტის სტანდარტული ღირებულება.

11. აბონენტს უფლება აქვს, აქციის მოქმედების პერიოდში ნებისმიერ დროს განაცხადოს უარი აქციის პირობებით სარგებლობაზე; აქციიდან ვადამდე გასვლის შემთხვევაში აბონენტმა უნდა აირჩიოს მომსახურების/შეთავაზების ის პაკეტი, რომლითაც სურს ისარგებლოს აქციის გარეშე. იმ შემთხვევაში, თუ აქციის პირობებით მოსარგებლე აბონენტი, რომელსაც აქციაში ჩართვამდე ქონდა "დრიმ პაკეტი", განაცხადებს უარს აქციაზე ან სხვა ქმედების შედეგად გაუუქმდება აქციის პირობები, აქციის შეწყვეტისთანავე აბონენტს ავტომატურად გაუაქტიურდება "დრიმ პაკეტი", "დრიმ პაკეტი" გათვალისწინებული მაქსიმალური სიჩქარით.
12. აქციის პირობებით მოსარგებლე აბონენტის მიერ, აქციის მოქმედების პერიოდში, აქციის პირობებით სარგებლობაზე უარის თქმის შემთხვევაში, აბონენტს ეზღუდება აქციაზე ხელმეორედ რეგისტრაციის შესაძლებლობა.
13. აქციის ფარგლებში პაკეტით "ფორმულა 1" სარგებლობის შემთხვევაში, გააქტიურებული ინტერნეტ სიჩქარე განსაზღვრულია აქციაში ჩართული მომსახურების შესაბამის სააბონენტო ანგარიშის ნომერზე არსებული ყველა ოპტიკური მომსახურებისთვის.
14. იმ შემთხვევაში, თუ 2.3. და 2.5. პუნქტით განსაზღვრული მომსახურების მიმღები აბონენტი, აქციის პირობებზე რეგისტრირდება ამავე პუნქტებით განსაზღვრული ერთ-ერთი მომსახურების დამატებით, აბონენტს, იმ მომსახურებაზე, რომლითაც სარგებლობდა აქციაზე რეგისტრაციამდე, აქციის პირობები გაუაქტიურდება აქციის ფარგლებში დამატებული მომსახურების რეგისტრაციის დღიდან, ხოლო აქციის ფარგლებში დამატებულ მომსახურებაზე – ამ მომსახურების ინსტალაციის დღიდან.
15. აქციის მოქმედების პერიოდში არ იზღუდება მომსახურებ(ებ)ების დროებით შეჩერების შესაძლებლობა. დროებით შეჩერების შემთხვევაში აქციის მოქმედების პერიოდის ათვლა არ წყდება / არ ექვემდებარება ცვლილებას.
16. ოპტიკური ინტერნეტ მომსახურების (ან მომსახურების კომბინაციის, რომელიც მოიცავს ოპტიკურ ინტერნეტს) ან ოპტიკური სილქ ტვ მომსახურების (ან მომსახურებების კომბინაციის, რომელიც მოიცავს ოპტიკურ სილქ ტვ-ის) გაუქმების შემთხვევაში აბონენტს შეეზღუდება აქციის პირობებით სარგებლობის შესაძლებლობა.
17. აქციით მოსარგებლე აბონენტს არ ეზღუდება სააბონენტო პაკეტის ცვლილების შესაძლებლობა. აქციით მოსარგებლე აბონენტის მიერ სააბონენტო პაკეტის აქციასთან თავსებადი სხვა პაკეტით ცვლილებისას, აბონენტი, შერჩეულ ინტერნეტ და სილქ ტვ მომსახურების პაკეტს მიიღებს ერთით ქვედა პაკეტის ფასად.
18. იმ შემთხვევაში, თუ აქციით მოსარგებლე აბონენტს, აქციის მოქმედების პერიოდში სურს ჩაერთოს სამმაგი/ოთხმაგი შეთავაზებაში, აქციის პირობები აბონენტს შეუნარჩუნდება იმ შემთხვევაში, თუ არ არის დასრულებული აქციის პირობებით რეგისტრაციის პერიოდი. ასეთ შემთხვევაში, აქციის მოქმედების ვადის ათვლა დაიწყება თავიდან - სამმაგი/ოთხმაგი შეთავაზების გააქტიურების დღიდან. თუ აქციის პირობებით რეგისტრაციის პერიოდი დასრულებულია, უნდა მოხდეს აქციის პირობების გაუქმება და ამის შემდეგ შეთავაზებაში ჩართვა (აბონენტს შეუწყდება აქციის პირობები).
19. იმ შემთხვევაში, თუ აქციით მოსარგებლე სამმაგი/ოთხმაგი შეთავაზების აბონენტი, აქციის მოქმედების პერიოდში დაშლის შეთავაზებას, აბონენტს შეუნარჩუნდება აქციის პირობები სილქ ტვ და ინტერნეტ მომსახურებაზე (DSL ტექნოლოგიის შემთხვევაში – მხოლოდ სილქ ტვ მომსახურებაზე). ასეთ შემთხვევაში აქციის მოქმედების პერიოდის ათვლა არ წყდება და არ ექვემდებარება ცვლილებას.
20. **მისამართის ცვლილებისას**, აქციაში ჩართულ აბონენტს, ცვლილებამდე არსებულ მისამართზე გააქტიურებული აქციის პირობები ახალ მისამართზე არ გაუვრცელდება.
21. იმ შემთხვევაში, თუ მისამართის ცვლილებაზე რეგისტრაციისას, აქციის პირობებით რეგისტრაციის პერიოდი არ არის დასრულებული, მე-2 პუნქტით განსაზღვრული მომსახურებები დარეგისტრირდება აქციის პირობებით ახალ მისამართზე.



www.silknet.com

მის: თბილისი, წინამძღვრიშვილის 95; ტელ: 2 100 100, ელ.ფოსტა: info@silknet.com

22. იმისათვის, რომ ახალ მისამართზე აბონენტმა ისარგებლოს აქციით, აქციის პირობებით რეგისტრირებული მომსახურების ინსტალაცია უნდა განხორციელდეს მე-4 პუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე.
23. ტექნოლოგიის ცვლილებისას, აქციაში ჩართულ აბონენტს ცვლილბამდე არსებულ ტექნოლოგიაზე გააქტიურებული აქციის პირობები ახალ ტექნოლოგიაზე არ გაუვრცელდება.
24. იმ შემთხვევაში, თუ ტექნოლოგიის ცვლილებაზე რეგისტრაციისას, აქციის პირობებით რეგისტრაციის პერიოდი არ არის დასრულებული, მე-2 პუნქტით განსაზღვრული მომსახურებები დარეგისტრირდება აქციის პირობებით ახალ ტექნოლოგიაზე.
25. იმისათვის, რომ ახალ ტექნოლოგიაზე აბონენტმა ისარგებლოს აქციით, აქციის პირობებით რეგისტრირებული მომსახურების ინსტალაცია უნდა განხორციელდეს მე-4 პუნქტით განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე.

მხარეთა ხელმოწერები:

სს „სილქნეტის“ წარმომადგენელი _____

აბონენტი _____